# ბლის წარმოების საინვესტიციო შესაძლებლობები



საქართველოში ბლის ინტენსიური წარმოებისათვის ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობები არსებობს.

ადგილობრივი წარმოების ბალი ბაზარზე მაისიდან ივლისის ჩათვლით არის ხელმისაწვდომი. ბალი ძირითადად იწარმოება კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლისა და იმერეთის რეგიონებში.

საქართველოში მხოლოდ რამდენიმე კომერციული დანიშნულების ბლის ბაღია გაშენებული. ბლის კომერციული წარმოება გულისხმობს ინვესტიციების განხორციელებას და მოიცავს ინტენსიური ბაღების გაშენებას, მოვლას, მოსავლის პირველადი დამუშავების ტექნოლოგიების დანერგვას, შესაბამისი რეჟიმით შენახვა-ტრანსპორტირებას, რაც ხელს უწყობს წარმოების მოცულობის ზრდას და, ამავე დროს, უზრუნველყოფს ხარისხის შენარჩუნების პირობებს.

ბლის წარმოების განვითარება მსოფლიოში ნაგალა და ნახევრად ნაგალა საძირეებით ბაღების გაშენებას ემყარება, რაც განპირობებულია მთელი რიგი უპირატესობებით, კერძოდ: მსხმოიარობაში ადრე შესვლა (მე-2, მე-3 წლიდან), რეგულარული მსხმოიარობა, ნარგაობის ზომების შემცირების შედეგად ხელით შრომის შედარებით გაადვილება, წამლობის გაადვილება, ხარისხიანი ნაყოფის მაღალი მოსავალი (80-90%), საჰექტარო მოსავლიანობის გაცილებით მაღალი მაჩვენებელი.

## საინვესტიციო შესაძლებლობები

- ხარისხიანი ნერგების წარმოების განვითარება
- წარმოების საშუალებების მიწოდება (მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასუქები და სხვა)
- ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების მიწოდება კლიმატკონტროლირებადი სასაწყობო მეურნეობებისთვის
- სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებისა და ხელსაწყოების მიწოდება
- გადამამუშავებელი მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების მიწოდება
- სატვირთო გადაზიდვების მომსახურების მიწოდება, რომელიც აღჭურვილია კლიმატკონტროლირებადი სისტემებით
- ბლის ინტენსიური ბაღების გაშენება
- პროდუქციის შენახვისთვის მომსახურების მიწოდება, რომელიც აღჭურვილია კლიმატკონტროლირებადი სისტემებით
- დამატებითი ღირებულების შესაქმნელად მომსახურების მიწოდება
- პირველადი და გადამუშავებული პროდუქციისთვის შესაფუთი მასალების წარმოება (ყუთები, ქილები და სხვა)

## წარმოება წლების მიხედვით (ტონა)




წყარო: საქსტატი

## წარმოება რეგიონების მიხედვით




წყარო: საქსტატი

## დარგვის და მოსავლის აღების პერიოდები

| თვეები | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დარგვა | | | ■ | ■ | | | | | | | | |
| მოსავლის აღება | | | | | ■ | ■ | ■ | | | | | |

| საქართველოში მოსავლიანობის პროცენტული წილი სხვა ქვეყნების მოსავლიანობასთან მიმართებაში | | | |
|---|---|---|---|
| სომხეთი | აზერბაიჯანი | თურქეთი | ევროკავშირი |
| 50% | 84% | 39% | 84% |

## ექსპორტი თვეების მიხედვით (1000 აშშ დოლარი)




წყარო: საქსტატი

## ძირითადი საექსპორტო ბაზრები (2015 წელი)




წყარო: საქსტატი

## ექსპორტი წლების მიხედვით (1000 აშშ დოლარი)




წყარო: საქსტატი

## საცალო საბაზრო ფასები თვეების მიხედვით - 2015 (ლარი/კგ)




| ფინანსური მაჩვენებლები* | |
|---|---|
| ფართობი (ბაღი) | 1 ჰა |
| საწყისი საინვესტიციო კაპიტალი | 33 980 ლარი |
| უკუგების პერიოდი | მე-6 წელი |
| IRR (8 წელი) | 25 % |